სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/262

ქ. თბილისი

23 სექტემბერი 2019

სტუ-ის დამატებითი ვირტუალური რეალობის და 3D ტექნოლოგიების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზ. წვერაიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიქმნას სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტრუქტურაში თვითდაფინანსებითი „დამატებითი ვირტუალური რეალობის და 3D ტექნოლოგიების ცენტრი“და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. ეთხოვოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი), დაამტკიცოს აღნიშნული ცენტრი და მისი დებულება;
3. საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე წარადგენს სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ზურაბ წვერაიძე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**